

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა N27

დღის წესრიგი:

1. სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე;
2. სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება _ მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;
3. 2008 წლის სტუ-ს ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება _ მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;
4. სტუ-ს თანამშრომლებზე საშობაო პრემიის გაცემის საკითხის პროექტის დამტკიცება _ მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;
5. 2009 წლის იანვრის თვიდან სტუ-ს აკადემიური პერსონალის ხელფასის მატების საკითხის დამტკიცება _ მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;
6. სტუ-ს სამტატო განრიგში ცვლილების დამტკიცება _ კერძოდ “სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების” შექმნის საკითხისა და ამ განყოფილების დებულების დამტკიცება _ მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;
7. სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დებულების დამტკიცება _ მომხსენებელი ამავე ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ნოდარ წიგნაძე;
8. სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხის დამტკიცება _ მომხსენებელი ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ნოდარ წიგნაძე;
9. სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე, დისტანციური სწავლების დეპარტამენტის დამატების საკითხის დამტკიცება _ მომხსენებელი პროფ. ანზორ კვარაცხელია;
10. საქართველოს ინვალიდთა კავშირის მომართვის (სტუ-ს IV კორპუსის კუთხეში მანქანების სადგომის მოწყობის თაობაზე) განხილვა _ მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;
11. მიმდინარე საკითხები:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 17 დეკემბრის სხდომის
ოქმი №27

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 55. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიულოცა ბარბარობის დღესასწაული უსურვა ბედნიერება, წარმატება და გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი).

სტუდენტი ქეთევან ჩაჩავა – რატომ არ დარიგდა დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები დროულად? საჭიროა ჩვენ გავეცნოთ მასალებს, რადგან განსახილველი საკითხები დიდი მოცულობისაა და მათი გაცნობა დიდ დროს მოითხოვს.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – ინტერნეტის ყველა მომხმარებელს მასალა დაეგზავნათ ელექტრონული ფოსტით. ამასთან მასალა უკვე 3 დღით ადრე მზად გექონდა და ყველას შეეძლო მობრძანებულიყო და წაელო.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა: მომხრე – 53, წინააღმდეგი – 2, თავი არავის შეუკავებია. ხმათა უმრავლესობით დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: **პროფ. ნოდარ კოდუა, პროფ. დემურ ტალახაძე და სტუდენტი დავით კერესელიძე.**

წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელსაც მე წარმოგიდგენთ. მოგახსენებთ, რომ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის წარმომადგენელი პროფ. მანანა მოისწრაფიშვილი არჩეული იქნა სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად, რის გამოც იგი პირადი განცხადების საფუძველზე გავიდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობიდან. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მის ნაცვლად საბჭოში შემოვა კანდიდატი, რომელმაც “შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვიტილი წევრის შემდეგ ხმების

უმეტესი რაოდენობა მოაგროვავა”. ასეთი არის ამავე ფაკულტეტის წარმომადგენელი პროფ. ნინო ნიკვაშვილი. კენჭისყრაზე დადგა პროფ. ნინო ნიკვაშვილის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომის**

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის დამტკიცების შესახებ, კერძოდ: იმასთან დაკავშირებით, რომ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის წარმომადგენელი პროფ. მანანა მოისწრაფიშვილი არჩეული იქნა სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად, პირადი განცხადების საფუძველზე იგი გავიდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობიდან.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მის ნაცვლად საბჭოში შემოვა კანდიდატი, რომელმაც “შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვავა”. ასეთი არის ამავე ფაკულტეტის წარმომადგენელი პროფ. ნინო ნიკვაშვილი. კენჭისყრაზე დადგა პროფ. ნინო ნიკვაშვილი უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში პროფ. ნინო ნიკვაშვილის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

სპიკერი – წარმოგიდგინო დღის წესრიგის მეორე საკითხს – სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი. მოგესხენებათ, რომ ბიუჯეტის განხილვაში მოწილეობას დებულობს აკადემიური საბჭოც.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი. ჩატარდა მუშაობა ინდივიდუალურად და კოლექტიურად მოხდა კორექტირება, თუმცა უმნიშვნელო. ახალი მიდგომა – ყველა ფაკულტეტს განესაზღვროს თავისი ბიუჯეტი, რის შემდეგაც გაკეთდა ნაერთი ბიუჯეტი. ბიუჯეტი ორიენტირებულია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე, გაზრდილია საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილები. ბიუჯეტი შედგენილია "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს

კანონის 36-ე მუხლის “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 18-ე მუხლის გ) პუნქტის და სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის სრული დაცვით.

სპიკერი – ვთხოვოთ, სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ჯაფარიძეს წარმოგიდგინოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნა.

პროფ. დავით ჯაფარიძე – საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ადმინისტრაციასთან ერთად დიდი სამუშაო ჩაატარა, რათა დღევანდელი ბიუჯეტი ასეთი სახით ყოფილიყო წარმოდგენილი. ფაკულტეტებს საშუალება ეძლევათ საშემოსავლო საკითხი განიხილონ დამოუკიდებლად, რადგან შემოსავლის 70% ფაკულტეტის განკარგულებაში რჩება. რაც მთავარია შევქელით საშემოსავლო ნაწილი განსაზღვრულიყო 19 378 327 ლარის ოდენობით. ნაშთი გადმოვიდა 2 209 850 ლარის ოდენობით, ამდენად შესაძლებელი გახდა ხელფასის მომატება აკადემიურ პერსონალზე. სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსავლის მიღების შემდეგ, მოხდება მე-2 ეტაპის ხელფასების მომატება რანგირების კოეფიციენტების გათვალისწინებით და ეს შეეხება ყველა შტატში მომუშავე თანამშრომელს. ბიუჯეტში ძირითადი მიზნობრივი პროგრამები – საკანცელარიო და სასწავლო პროცესებისათვის საჭირო მასალების, ავეჯის და კომპიუტერების შექენის პროგრამები წარმოდგენილია, ხოლო სარემონტო სამუშაოების პროგრამები თებერვლის პირველი ნახევრისთვის უნდა წარმოადგინონ დასამტკიცებლად. დეკანებმა იმუშავეს კარგად, იყო გარკვეული ხარვეზებიც, რადგან პირველი წელია და ეს ყველაფერი გამოსწორდება. რაც შეეხება საშემოსავლო ნაწილის შესწორებას, ბიუჯეტი დაგეგმილია პესიმისტურად. ერთი შენიშვნაც პროგრამებთან დაკავშირებით, წლის დასაწყისში უნდა იყოს გამოყოფილი ძირითადი პრიორიტეტები. 2009 წლის ბიუჯეტი გაცილებით უკეთესია, ვიდრე 2008 წლის.

პროფ. ივანე თვალავაძე – იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო მოგვცემს თანხას ხელფასი რანგირების კოეფიციენტის მიხედვით ყველას გაეზრდება, მაგრამ თუ არ მოგვცემს, მაშინ, გვაძლევს საშუალებას საკუთარი ბიუჯეტი, რომ ხელფასი საადდგომოდ მაინც გაუზარდოთ დანარჩენ თანამშრომლებს?

პროფ. დავით ჯაფარიძე – ჩვენი ბიუჯეტი გვაძლევს საშუალებას 700-800 ათასი ლარით მეტი შემოვიტანოთ იჯარებიდან, მაგრამ ამის საჭიროებაც არ

არის რადგან სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები განათლების სისტემაზე.

პროფ. აგული სოსაძე – საათობრივ ანაზღაურებაზე მყოფი ხალხი ასრულებს იგივე სამუშაოს, რასაც ჩვენ. მათი ანაზღაურება კი ძალიან დაბალია 4.1 და 4.7 ლარია, სხვა უნივერსიტეტებში კი არის 10 – 13 ლარი. ჩვენ 8 ლარი მაინც გავხადოთ საათობრივი ანაზღაურება.

პროფ. დავით ჯაფარიძე – 2008 წლის ბიუჯეტში არის საათობრივი გადახარჯვა. დიდი თანხები იყო დაგეგმილი და ჩვენ მივიღეთ გადახარჯვა. უნდა მოემატოს, მაგრამ ჯერ ვერ ვახერხებთ. უნდა გადაწყდეს მასწავლებლებისა და უფროსი მასწავლებლების დანიშვნის საკითხი. გასარკვევია როგორ დაფინანსდება ცენტრალური სტუდენტური თვითმართველობა. თვითოეული ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმართველობას ჩვენ გამოვუყავით თანხა და ცენტრალურ სტუდენტურ თვითმართველობას არა?

სპიკერი – გთხოვთ კენჭი ვუყაროთ სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის პროექტს წარმოდგენილი სახით?

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად. ამგვარად, დამტკიცდა სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტი.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომის**

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2009 წლის
ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**

საბჭო აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 5 დეკემბერს (წერილი №85) სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი და მიზნობრივი პროგრამები.

საბჭოს მიაჩნია, რომ ბიუჯეტი შედგენილია “საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ” კანონის 18-ე მუხლის გ) პუნქტის და სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის სრული დაცვით. აღნიშნულზე არსებობს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის მიმდინარე წლის 11 დეკემბრის სხდომის დადებითი დასკვნა.

საბჭო განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ 2009 წლის ბიუჯეტში ცალ-ცალკე არის ასხული საფაკულტეტო და ადმინისტრირების ბიუჯეტები. წარმოდგენილი ბიუჯეტი ორიენტირებულია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე და აკადემიური პერსონალის ხელფასების ზრდაზე. კარგად არის დაბალანსებული საშემოსავლო

და ხარჯვითი ნაწილი. 2008 წლის ბიუჯეტთან შედარებით საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილები გაზრდილია 11%-ით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ბიუჯეტის პროექტის ხარჯვითი ნაწილი ბოლომდე არ არის დაწერილი მიზნობრივი პროგრამების სახით. ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდებიან საფაკულტეტო ბიუჯეტებიც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სტუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი და იგი განისაზღვროს 19 378 327 ლარის ოდენობით.

მათ შორის:

1. ნაშთი წლის დასაწყისში – 2 209 850 ლარი;
2. სამეცნიერო გრანტები – 583 411 ლარი;
3. ფასიანი სწავლებიდან – 15 685 066 ლარი;
4. ეკონომიკური საქმიანობიდან (სამეცნიერო-სახელშეკრძლებო თემები –15 000ლარი; ეკონომიკური საქმიანობა – 15 000ლარი; იჯარა – 400 000ლარი; დეპოზიტიდან შემოსავლები – 200 000 ლარი.) – 900 000 ლარი.

მუხლი 2. დამტკიცდეს 2009 წლის ხარჯვითი ნაწილი და იგი კლასიფიკატორის შესაბამისად განისაზღვროს 19 378 327 ლარის ოდენობით.

მათ შორის:

1. 2009 წლის სახელფასო ფონდი – 13 974 300 ლარი. (დანართი №1)
2. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯები –818 860 ლარი (დანართი №1)
3. კომპიუტერული ტექნიკის და ელექტრომოწყობილობების შეძენა– 394 631 ლარი. (დანართი №1)
4. ელექტროენერჯის ხარჯები – 658 000 ლარი. (დანართი №1)
5. წყლის ხარჯები – 708 000 ლარი. (დანართი №1)
6. გათბობის ხარჯები – 304 000 ლარი. (დანართი №1)
7. ქონების გადასახადი – 70 000 ლარი.
8. მიწის გადასახადი – 15 000 ლარი.
9. მოგების გადასახადი – 191 000 ლარი.
10. დამატებითი ღირებულება – 106 750 ლარი.
11. ეკონომიკური კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრული სხვა ხარჯები. (დანართი №1)

მუხლი 3. დამტკიცდეს სტუ-ს ადმინისტრირების 2009 წლის ბიუჯეტი ხარჯვითი ნაწილი – 5 146 408 ლარი (დანართი №1).

მუხლი 4. დამტკიცდეს სტუ-ს ფაკულტეტების 2009 წლის ბიუჯეტები.

მათ შორის;

1. სამშენებლო ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს –120 053 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 254 711 ლარით, სტუ-ს საერთო შემოსავლებიდან ფაკულტეტს გამოეყოს ტრანსფერი – 54 186 ლარის ოდენობით.

2. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 2 253 775 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 561 274 ლარით.
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 840 400 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 105 277 ლარით. სტუ-ს საერთო შემოსავლებიდან ფაკულტეტს გამოეყოს ტრანსფერი – 261 350 ლარის ოდენობით.
4. ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 1 244 050 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 545 786 ლარით. სტუ-ს საერთო შემოსავლებიდან ფაკულტეტს გამოეყოს ტრანსფერი – 294 436 ლარის ოდენობით.
5. არქიტექტურის, ურბანიტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 500 281 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 669 036 ლარით. სტუ-ს საერთო შემოსავლებიდან ფაკულტეტს გამოეყოს ტრანსფერი – 168 755 ლარის ოდენობით.
6. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 3 962 550 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 771 329 ლარით.
7. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 1 782 735 ლარით, ხარჯვითი ნაწილი 1 651 867 ლარით.
8. ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 3 900 750 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 189 228 ლარით.

მუხლი 5. დამტკიცდეს – საკანცელარიო საქონლის, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის და მოწყობილობების, კომპიუტერული ტექნიკის სახარჯი მასალების შესყიდვის წარმოდგენილი გეგმა (დანართი №6);

მუხლი 6. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ს დამტკიცებულ 2009 წლის ბიუჯეტში წლის განმავლობაში დაუცველი მუხლების მთლიან ასიგნებებში განახორციელოს ცვლილებები 7%-ის ფარგლებში.

მუხლი 7. სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად ფაკულტეტების მიერ მიღებული ჭარბი შემოსავლების 70% დარჩეს მათ განკარგულებაში, ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებით მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად 30%, ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული საუნივერსიტეტო პროგრამების დასაფინანსებლად.

მუხლი 8. 2010 წლის პირველი იანვრისთვის სტუ-ს ბიუჯეტის ნაშთის მოცულობა განისაზღვროს ერთი მილიონი ლარით.

სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (ქნ ქ. ქოქრაშვილი):

1. უზრუნველყოს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების განუხრელი შესრულება;

2. ფაკულტეტების დეკანებთან ერთად, ეკონომიკური კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად შეიმუშაოს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვისა და სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნობრივი პროგრამები და დასამტკიცებლად წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს 2009 წლის პირველი თებერვლისათვის;
3. როგორც წესი, კვარტალში ერთხელ წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგინოს ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
4. 2009 წლის პირველი იანვრიდან განახორციელოს აკადემიურ თანამდებობებზე მყოფ პირთათვის ხელფასის მატება. სრულ პროფესორზე – 100 ლარით, ასოცირებულ პროფესორზე – 70 ლარით, ასისტენტ პროფესორზე – 50 ლარით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტი ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მესამე საკითხს – 2008 წლის სტუ-ს ბიუჯეტში ცვლილების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ჯერ პასუხს გავცემ ბატონ დავითს, ცხადია ფაკულტეტებს ბიუჯეტში უწერია სტუდენტურ თვითმმართველობაზე გამოყოფილი თანხა, მაგრამ თანხის განკარგვა მოხდება ცენტრალიზებურად.

2008 წლის 11 თვის შედეგების შესყიდვებსა და სავალდებულო გადასახადებში მიღებულია ეკონომია ბიუჯეტის კლასიფიკატორის მიხედვით საერთო თანხით 608055 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ეკონომიის ხარჯებიდან კომუნალურ გადასახადებში შეტანილი იქნას ცვლილება დამტკიცებული გეგმის გაზრდაზე 244000 ლარის ოდენობით. (კერძოდ: წყლის გადასახადი 130000 ლარით, ხოლო ელ. ენერჯის გადასახადი 114000 ლარით.)

ბიუჯეტიდან დაფინანსების სხვა ხარჯების მუხლიდან სასტიპენდიო ფონდის ეკონომიიდან 100000 ლარი გადატანილ იქნას სახელფასო ფონდში; ხოლო საკუთარი შემოსავლების ეკონომიიდან 226663 ლარი გადატანილი იქნას სახელფასო ფონდში.

შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების მუხლში (საათობრივი) გადახარჯვა 650363 ლარი დაიფაროს საკუთარი შემოსავლების ეკონომიიდან 137392 ლარით, ხოლო დარჩენილი 512973 ლარით გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება მიმდინარე წლის ნაშთის ხარჯზე.

სპიკერი – ვინ არის მომხრე დამტკიცდეს 2008 წლის სტუ-ს ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილება?

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტში ცვლილების დამტკიცების შესახებ, კერძოდ:

2008 წლის 11 თვის შედეგების შესყიდვებსა და სავალდებულო გადასახადებში მიღებულია ეკონომია ბიუჯეტის კლასიფიკატორის მიხედვით საერთო თანხით 608055 ლარის ოდენობით (იხ. დანართი – 1 ფურცელზე).

აღნიშნული ეკონომიის ხარჯებიდან კომუნალურ გადასახადებში შეტანილი იქნას ცვლილება დამტკიცებული გეგმის გაზრდაზე 244000 ლარის ოდენობით. (კერძოდ: წყლის გადასახადი 130000 ლარით, ხოლო ელ. ენერჯის გადასახადი 114000 ლარით.)

ბიუჯეტიდან დაფინანსების სხვა ხარჯების მუხლიდან სასტიპენდიო ფონდის ეკონომიიდან 100000 ლარი გადატანილ იქნას სახელფასო ფონდში; ხოლო საკუთარი შემოსავლების ეკონომიიდან 226663 ლარი გადატანილი იქნას სახელფასო ფონდში.

შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების მუხლში (საათობრივი) გადახარჯვა 650363 ლარი დაიფაროს საკუთარი შემოსავლების ეკონომიიდან 137392 ლარით, ხოლო დარჩენილი 512973 ლარით გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება მიმდინარე წლის ნაშთის ხარჯზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა 2008 წლის ბიუჯეტში შეტანილი აღნიშნული ცვლილებები.

სპიკერი – წარმოგიდგინო დღის წესრიგის მეოთხე საკითხს – სტუ-ს თანამშრომლებზე საშობაო პრემიის გაცემის საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ადმინისტრაციამ მოიპოვა თანხები, რათა სტუ-ს ყველა თანამშრომელზე გაიცეს საშობაო პრემია 1 თვის ხელფასის ოდენობით. ბატონ აგულის შეკითხვას რაც შეეხება, საათობრივზე მეოფი ადამიანების ხელფასში გადახარჯვა მოხდა, 1 676 384 ლარი გაიზარდა 650 363 ლარით. ხარჯი ძალიან დიდა. ალბათ უნდა დადგინდეს აკადემიური

პერსონალის ზუსტი რაოდენობა და თუ გაჩნდა მასწავლებლებისა და უფროსი მასწავლებლების შტატი, საათობრივზე მყოფთა რაოდენობა შემცირდება და სტუ-ს ექნება შესაძლებლობა გავზარდოთ საათობრივი ანაზღაურება.

სპიკერი – ვინ არის მომხრე დამტკიცდეს სტუ-ს თანამშრომლებზე საშობაო პრემიის გაცემის საკითხი?

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომის**

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს თანამშრომლებზე საშობაო პრემიის გაცემის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის ბიუჯეტი შესაძლებლობას იძლევა იმისათვის, რომ თანამშრომლებს დაურიგდეთ ერთი ხელფასის ოდენობით საშობაო პრემია.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა ერთხლოვანი გადაწყვეტილებით დამტკიცდა: პრემია გაიცემა: აკადემიურ პერსონალზე, ასევე, პირებზე, რომელთაც ხელშეკრულების საფუძველზე ეწოდება პროფესორი, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე (მათ შორის დამლაგებლებზე და ადმინისტრაციის შტატგარეშე პერსონალზე) ერთი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით.

სპიკერი – წარმოგიდგინოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხს – სტუ-ს აკადემიური პერსონალის ხელფასის მატების საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – 2009 წლის იანვრიდან მოხდება აკადემიური პერსონალისთვის ხელფასის მატება: სრული პროფესორი 900 ლარი, ასოცირებული პროფესორი – 670 ლარი, ასისტენტ პროფესორი – 500 ლარი. ამასთან საშემოსავლო გადასახადი იკლებს 25%-დან 20%-მდე, ასე, რომ მატება საგრძნობი იქნება.

სპიკერი – ვინ არის მომხრე დამტკიცდეს სტუ-ს აკადემიურ პერსონალზე ხელფასის მატების საკითხი?

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომის**

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი 2009 წლის იანვრის თვიდან სტუ-ს აკადემიური პერსონალის ხელფასის მატების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა ერთხლოვანი გადაწყვეტილებით დამტკიცდა – 2009 წლის პირველი იანვრიდან, აკადემიურ პერსონალს გაეზარდოს ხელფასი შემდეგი ოდენობით:

თანამდებობა/ რაოდენობა	არსებული ხელფასი	სავარაუდო მატება	მოსალოდნელი ხელფასი	ნამატის წლიური ხარჯი
სრული პროფესორი 278	800	100	900	333.600
ასოცირებული პროფესორი 474,5	600	70	670	398.580
ასისტენტ პროფესორი 146	450	50	500	87.600
ჯამი:				819.780

საკიერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხს – სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილების დამტკიცება – კერძოდ “სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების” შექმნის საკითხისა და ამ განყოფილების დებულების დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილებაა, შეიქმნა “სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილება”. სახელწოდება შეიძლება შეიცვალოს და უფრო დაიხვეწოს. გთხოვთ კენჭი ვუყაროთ ამ განყოფილების დამტკიცების საკითხს. განყოფილებას აქვს დებულება, იქნებ დებულებაც დაგვემტკიცებინა?

სტუდენტი თენგიზ ჯანგულაშვილი – განყოფილება კი, მაგრამ დებულება ჯერ წარმოგიდინონ გავეცნოთ და შემდეგ დავამტკიცოთ.

პროფ. მარინა ქურდაძე – ცნობილია ვინ იქნება ამ განყოფილების უფროსი ?

სპიკერი – ვფიქრობ ჯერ არ არის ცნობილი.

ვინ არის მომხრე დაგამტკიცოთ ასალი განყოფილება, დებულების დამტკიცება კი შემდგომისთვის გადავდოთ.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის დამტკიცების თაობაზე, კერძოდ: “სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერის სექტორი” და “სპორტისა და კულტურის ცენტრი” გაერთიანდეს და ეწოდოს– “სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების”

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა “სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების” შექმნის საკითხი. საბჭოს წევრთა თხოვნით ამ განყოფილების დებულების დამტკიცების საკითხი გადაიდო, დოკუმენტის უკეთ გაცნობის მიზნით.

სპიკერი – წარმოგიდგინო დღის წესრიგის მეშვიდე და მერვე საკითხებს – სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის ბუიჯეტში შესატანი ცვლილების შესახებ – მომხენებელი ამავე ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ნოდარ წიგნაძე.

პროფ. ნოდარ წიგნაძე – ინსტიტუტის რეორგანიზაციის პერიოდში რექტორის მიერ დამტკიცდა ინსტიტუტის დროებითი დებულება, ხოლო მას შემდეგ რაც წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების გადაწყვეტილებით ინსტიტუტი გამოეყო სამშენებლო ფაკულტეტს და ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა, როგორც ცალკე სტრუქტურული ერთეული, რექტორის ბრძანებით დამევალა ინსტიტუტის დებულების მომზადება და წარმოდგენა დასამტკიცებლად. დებულებაში ნათლად არის ჩამოყალიბებული ინსტიტუტის, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის სტატუსი და უფლებამოსილება, ასევე მიზნები და ამოცანები, მისი საქმიანობის

სფეროები, როგორც სამეცნიერო-კვლევით ისე საგანმანათლებლო მიმართულებებით. აგრეთვე განსაზღვრულია ინსტიტუტის ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალი, მათი არჩევისა და დანიშვნის წესი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი და მათი უფლებამოსილება. დებულებით განსაზღვრულია აგრეთვე ინსტიტუტის ქონება, ბიუჯეტი, მათი განკარგვის წესი და ასევე სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია ინსტიტუტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ დებულება მომზადდა საქართველოს კანონების: "უმაღლესი განათლების შესახებ" და "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ", სტუ-ს წესდებისა და საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №42 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. დებულება ასევე სრულ შესაბამისობაშია საქართველოს სხვა კანონებთან და ნორმატიულ აქტებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმედი მაქვს საბჭოს წევრთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს დებულების წარმოდგენილ ვარიანტს და დაამტკიცებს მას. რაც შეეხება ცვლილებას ბიუჯეტში, მოგახსენებთ, რომ 2008 წლის ინსტიტუტის ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების მუხლში წარმოშობილია ეკონომია 8 160 (რვაათასასამოცი) ლარის ოდენობით. გთხოვთ დამართოთ ნება, რომ აღნიშნული თანხა გადატანილი იქნას შრომის ანაზღაურების მუხლში და ის გამოყენებული იქნას წლიური შედეგების მიხედვით თანამშრომელთა წასახალისებლად.

სპიკერი – ვთხოვ სტუ-ს იურიდიული სამსახურის უფროსს, ბატონ ბექა მაისურაძეს, ამ საკითხთან დაკავშირებით მოგვახსენოს თავისი დასკვნა.

ბატონი ბექა მაისურაძე – მოგახსენებთ, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგშია, ხოლო შინაარსობრივად მე არ ვარ პასუხისმგებელი.

სპიკერი – გთხოვთ კენჭი ვუყაროთ სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დებულებისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების დამტკიცებას.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომაზე, სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი ამავე ინსტიტუტის დებულებისა და ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა – სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დებულება და ინსტიტუტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილება, კერძოდ: საქონელი და მომსახურების მუხლში წარმოშობილი ეკონომია 8 160 (რვაათას ას სამოცი) ლარი გადატანილი იქნას შრომის ანაზღაურების მუხლში.

სპიკერი – წარმოგიდგინო დღის წესრიგის მეცხრე საკითხს – სტუ-ს ინფორმაციისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე დისტანციური სწავლების დეპარტამენტის დამატების საკითხის დამტკიცება – მომხენებელი პროფ. ანზორ კვარაცხელია.

პროფ. ანზორ კვარაცხელია – 29 დეკემბრიდან დაუსწრებელი სწავლების განყოფილება აღარ იქნება, ინფორმაციისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე დამატებით იარსებებს დისტანციური სწავლების დეპარტამენტი. ის იარსებებს მანამ, სანამ დისტანციური სწავლება როგორც ფაკულტეტი არ ჩამოყალიბდება.

სპიკერი – მე ხელთა მაქვს აკადემიური საბჭოს დადგენილება, რომელიც რეკომენდაციას უწევს სტუ-ს ინფორმაციისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის შემადგენლობაში დისტანციური სწავლების დეპარტამენტის დამატების საკითხს.

პროფ. თალიკო ჟვანია – როგორ წარმოგიდგინიათ, ეს სისტემა არსებობს სადმე თუ არა და რა ფორმით?

პროფ. გენადი იაშვილი – ეს კვოტა ეთვლება ტექნიკურ უნივერსიტეტს თუ არა?

პროფ. ანზორ კვარაცხელია – ეს კვოტა ჩათვლება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

პროფ. მზია მილაშვილი – წელს იქნება თუ არა მიღება?

პროფ. ანზორ კვარაცხელია – ეს აკადემიური საბჭოს გადასაწყვეტია.

სპიკერი – გთხოვთ კენჭი ვურაყოთ სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე დისტანციური სწავლების დეპარტამენტის დამატების საკითხს.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 54, წინააღმდეგი – 1, თავი არავის შეუკავებია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომაზე, პროფესორ ანზორ კვარაცხელიას მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე დისტანციური სწავლების დეპარტამენტის დამატების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა – ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს დაემატოს დისტანციური სწავლების დეპარტამენტი.

სპიკერი – წარმოგიდგინო დღის წესრიგის მეათე საკითხს – საქართველოს ინვალიდთა კავშირის მომართვის (სტუ-ს IV კორპუსის კუთხეში მანქანების სადგომის მოწყობის თაობაზე) განხილვა – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – საქართველოს ინვალიდთა კავშირმა მოგვმართა თხოვნით სტუ-ს IV კორპუსის კუთხეში მანქანების სადგომის მოწყობის თაობაზე. ეს თხოვნა ჩვენ გავაცანით საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელ მუდმივმოქმედ კომისიას, რომელმაც უარი განაცხადა ამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სპიკერი – გთხოვთ კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს. ვინ არის მომხრე?

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა. მომხრე – 0, წინააღმდეგი – 49, თავი შეიკავა – 6.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 17 დეკემბრის №27 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი საქართველოს ინვალიდთა კავშირის მომართვის განხილვის შესახებ, კერძოდ: სტუ-ს IV კორპუსის კუთხეში მანქანების სადგომის მოწყობის თაობაზე.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით უარი ეთქვა საქართველოს ინვალიდთა კავშირს, სტუ-ს IV კორპუსის კუთხეში მანქანების სადგომის მოწყობის თაობაზე. კენჭისყრის შედეგი შემდეგნაირად დაფიქსირდა: მომხრე – 0, წინააღმდეგი – 49, თავი შეიკავა – 6.

მიმდინარე საკითხები:

სპიკერი – პროფ. ვალიდა სესაძეს აქვს ინფორმაცია.

პროფ. ვალიდა სესაძე – მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი კურსდამთავრებული თამუნა კეკენაძე გამარჯვებულია ნომინაციაზე "წლის ახალგაზრდა ევროპელი". მან ვრცლად ისაუბრა ჩვენი კურსდამთავრებულის თამუნა კეკენაძის წარმატებებზე და მიულოცა როგორც მას, ასევე მთელს უნივერსიტეტს ჩვენი კურსდამთავრებულის აღნიშნული წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის უსურვა ბედნიერი ახალი წელი და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

/ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,

ასოცირებული პროფესორი

/ვინა გურეშიძე/